ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3167389

ნომერი: AR1488452

თარიღი : 21.03.2017

გაცემის თარიღი : 28.03.2017

გაცნობის თარიღი : 28.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , N24-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მეჰმეთ თალი პ/ნ 01097001402
- თბილის ი.ჭავჭავაძის გამძ. N37 კორპ.1ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

"განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ველში – საკადასტრო კოდში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს კონკრეტული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გაცნობებთ, რომ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

წარმოსადენია არსებული სიტუაციის ფოტოსურათები, გადაღებული სხადასხვა ხედის ფიქსაციით, (თარიღის მითითებით) და მათ საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟები.

სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით არ მიაჩნია ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება. სარეკლამო აბრების მოწყობა განხორციელდეს ისე რომ მთლიანად შენარჩუნებულ იქნას ფასადზე არსებული ქვით მოპირკეთებული ნაწილი, სარეკლამო აბრით გადაფარვის გარეშე, ასევე ფასადიდან კონსტრუქციის გადმოწევა არ გადმოსცდეს მარცხენა მხარეს უკვე მოწყობის აბრას, რაც შეეხება, გრუნტის სამუშაოებს, ვინაიდან საკადასტრო საზღვარი გადის ზედ შენობის კონტურზე და ჩასატარებელი სამუშაოების მოწყობა ხდება საკადასტრო საზღვრებს გარეთ საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოდან შესაბამისი თანხმობა, თუმცა ამასთანავე დამატებით მონტაჟზე უნდა იქნას დატანილი მთლიანი ტროტუასის სიგანე და ასევე ბანიდან ტროტუარის კიდემდე დარჩენილი მანძილი. გაცნობებთ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ტროტუარის კიდის ვერტიკალურ სარმოსახვითი სიბრტყიდან კიბეებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასასლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 1.8 მ. დამატებით წარმოსადგენია არსებული ანაზომი და საპროექტო ესკიზური ნახაზები (გეგმა, ჭრილი) შესაბამისი დასათაურებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.